

საქართველოს კანონი

„საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე -----) პირველი მუხლის მე-16-მე-17 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. 240-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 240. საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება

1. საბაჟო დეკლარაციასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას, საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება დეკლარანტის/წარმომადგენლის მიერ, –

იწვევს პირის დაჯარიმებას დეკლარაციაში შემცირებული საბაჟო გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე დეკლარაციაში შემცირებული საბაჟო გადასახდელების თანხის 200 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის, საბაჟო დეკლარაციასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობად ჩაითვლება ისეთი მონაცემის შეტანა, რომლის არასწორობა დადასტურებულია მტკიცებულებებზე დაყრდნობით საბაჟო კონტროლის განხორციელებისას ან სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მხოლოდ ეჭვის არსებობა, რომელიც შეიძლება გახდეს საბაჟო ღირებულების კორექტირების ან საბაჟო ღირებულების განსხვავებული მეთოდით დადგენის საფუძველი, არ ქმნის სამართალდარღვევის შემადგენლობას.“.

17. 250-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 250. საბაჟო დეკლარაციაში საბაჟო ღირებულების შემცირება ან გაზრდა

1. საბაჟო დეკლარაციასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში საბაჟო ღირებულების თაობაზე არასწორი მონაცემის არსებობისას, საბაჟო ღირებულების შემცირება ან გაზრდა დეკლარანტის/წარმომადგენლის მიერ, რასაც არ გამოუწვევია საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მონაცემის არსებობა სავალდებულო არ არის, –

იწვევს პირის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებასა და შემცირებულ ან გაზრდილ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს პირის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებასა და შემცირებულ ან გაზრდილ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის თანხის 20%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 31 მარტიდან.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი